დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნიკოლოზ ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2020 წელი

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**უნივერსიტეტი**
სახე	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი	**245428158**
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	**ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, ბათუმი, 6010, საქართველო**
ვებ-გვერდი	www.bsu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	**ავტორიზებული**
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	**27.08.2018, №56**
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	**27.08.2024**

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	85
ბაკალავრიატი	43
მაგისტრატურა	27
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	9
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	74
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			8000
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	6154	2157	-
ბაკალავრიატი	4481	1731	-
მაგისტრატურა	399	310	-
ერთსაფეხურიანი	1107	66	-
დოქტორანტურა	111	49	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	51	1	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	5	0	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	621	29	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	-
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	275
- პროფესორი	64
- ასოცირებული პროფესორი	122
- ასისტენტ პროფესორი	77
- ასისტენტი	12
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	68
- მეცნიერი	68
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	60
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	108
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	65
- აფილირებული ასისტენტი	8
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	-
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	-

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების ჯგუფის მთავარი მიზანი იყო, შეესწავლა უსდ-ისთვის ავტორიზაციის პროცესში მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით უსდ-ის მიერ განხორციელებული ინიციატივები და კონკრეტული აქტივობები.

1. ავტორიზაციის პროცესში (2018 წელს) უსდ-მ მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით მიიღო 12 რეკომენდაცია, 2020 წელს კი მონიტორინგის ვიზიტის მიზნებისათვის ინსტიტიტუციამ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში რეკომენდაციები წარმოდგინა შემცირებული სახით. სახელდობრ, ზოგი რეკომენდაცია ინსტიტუციის მიერ გაერთიანდა დუბლირებების თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, რეკომენდაციები 7 და 12), მოხდა რეკომენდაციების განზოგადებული სახით წარმოდგენა (მაგალითად, 6.1 ნაწილში 2018 წელს გაცემული პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი ინსტიტუტების გარეთ დასაქმებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მიმართ მოთხოვნების გაძლიერებას, ინსტიტუციამ კი აღნიშნული რეკომენდაციის ფორმულირება მოახდინა შემდეგნაირად - „გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“). შედეგად, რეკომენდაციების რაოდენობა ხელოვნურად შემცირდა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში. განსხვავებების ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაციები	**უსდ-ს მიერ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები**
6.1 სტანდარტის კომპონენტისთვის	6.1 სტანდარტის კომპონენტისათვის
1. გაძლიერდეს იმ აკადემიკოსების კვლევითი მუშაობის მოთხოვნები, რომლებიც ინსტიტუციის მთავარი კვლევითი ინსტიტუტების გარეთ არიან.	1. გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
2. მხედველობაში მისაღებია ფინანსურ შეზღუდვებთან, ინფრასტრუქტურასთან და მკვლევართა კრიტიკულ მასასთან კავშირში შესრულებული კვლევის ხასიათი.	2. კვლევითი საქმიანობის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით მოხდეს უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის, კვლევების და ფინანსური რესურსების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
3. მოხდეს კვლევითი აქტივობების იდენტიფიცირება, პრიორიტეტის	3. გაიზარდოს კვლევის შედეგების ხარისხი და პროდუქტიულობა;

მინიჭება და ოპტიმიზაცია, რათა თავიდან აიცილოთ კვლევის ძალისხმევის დანაწევრება და შესაბამისად გააძლიეროთ კარგი უნივერსიტეტის სასიცოცხლო მნიშვნელობის თვისება. 4. მოხდეს კვლევითი მიმართულებების, პრიორიტეტების და კვლევის ორიენტირის ფორმულირება. 5. გაიზარდოს კვლევის შედეგების ხარისხი და პროდუქტიულობა. 6. მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.	4. გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
6.2 სტანდარტის კომპონენტისთვის 7. შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის. 8. იყოს მეტი აქტიურობა საერთაშორისო მკვლევარებთან თანამშრომლობაში. 9. წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში. 10. გაძლიერდეს კვლევის მხარდაჭერის ერთეული.	6.2 სტანდარტის კომპონენტისთვის 5. გააქტიურდეს მკვლევარებთან თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე. 6. გაუმჯობესდეს სამეცნიერო კვლევების სამსახურის საქმიანობა.
6.3 სტანდარტის კომპონენტისთვის 11. კვლევის შეფასების უფრო კომპლექსური სისტემა უნდა შემუშავდეს, თითოეული აკადემიკოსის შედეგების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ერთეულების მუშაობის მხედველობაში მიღებით. 12. შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისთვის.	6.3 სტანდარტის კომპონენტისთვის 7. საჭიროა შემუშავდეს კვლევითი საქმიანობის შეფასების უფრო კომპლექსური სისტემა, თითოეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ერთეულების მუშაობის გათვალისწინებით; 8. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.

მიუხედავად ამისა ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა 2018 წელს ავტორიზაციის პროცესის შედეგად გაცემულ ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებული საკითხები და მოიძია შესაბამისი დოკუმენტაცია, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინსტიტუციის მიერ მე-6 სტანდარტთან დაკავირებული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და ინფორმირებული დასკვნების გაკეთება.

მონიტორინგის პროცესის მსვლელობა ამგვარი იყო: შესაბამისი ბრძანების მიღების შემდეგ მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ Zoom-ის ონლაინ-პლატფორმის გამოყენებით 5 ივნისს. შეხვედრა დაეთმო ურთიერთგაცნობას, შესასრულებელი სამუშაოს განაწილებასა და შეთანხმებას სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია, დამატებითი დოკუმენტაცია გამოეთხოვა უსდ-დან და ამისთვის 11 ივნისს განცხადებით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. დამატებითი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ონლაინ-ინტერვიუების ჩატარების საჭიროება. ონლაინ-შეხვედრები უზრუნველყოფილი იყო ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის, გიორგი მუნჯიშვილის მიერ 25 ივნისს. ჩატარდა 7 შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ უსდ-ის რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურების წარმომადგენლებს, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებსა და უცხოელ თანახელმძღვანელებს, კვლევით პროექტებში ჩართული აკადემიური (მათ შორის ახალგაზრდა და ახალი) პერსონალის წევრებს და სამივე საფეხურის სტუდენტებს. ინტერვიუების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში მონიტორინგის ჯგუფმა იმუშავა საბოლოო დასკვნაზე.

მონიშნეთ, რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2018 წლის 22-24 მაისი.

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
6.1. 1. გაძლიერდეს იმ აკადემიკოსების კვლევითი მუშაობის მოთხოვნები, რომლებიც მთავარი	1. შესრულებულია ნაწილობრივ: უსდ-ის ანგარიშში აღნიშნული რეკომენდაციის

კვლევითი ინსტიტუტების გარეთ არიან	ფორმულირება შეცვლილია და მოცემულია შემდეგნაირად: გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. არსებობს რიგი აქტივობები, რომლებიც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული (შეფასება, წახალისება, საკონკურსო მოთხოვნების გაზრდა) ერთნაირად ეხება როგორც კვლევით ინსტიტუტებს, ასევე მათ გარეთ მომუშავე პერსონალს. რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე აქცენტი გაკეთებული არ არის. კვლევითი მუშაობის მიმართ მინიმალური მოთხოვნები მაღალი არ არის, თუმცა მოსალოდნელია, რომ შეფასებისა და წახალისების მიღებისათვის დანერგილი მექანიზმები გრძელვადიან ჭრილში აამაღლებს სამეცნიერო მუშაობის ხარისხს.
2. მხედველობაში მისაღებია ფინანსურ შეზღუდვებთან, ინფრასტრუქტურასთან და მკვლევართა კრიტიკულ მასასთან კავშირში შესრულებული კვლევის ხასიათი	2. არ არის შესრულებული: ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნის ინგლისურ ვერსიაში მოცემული აღნიშნული რეკომენდაციის ფორმულირებას - Consider the nature of research undertaken in relation to financial constraints and infrastructure and critical mass of researchers). ამ ფორმულირების მიხედვით, ინსტიტუციას ავტორიზაციის მიღებიდან 2 წლის შემდეგ „განხორციელებული კვლევითი აქტივობების ხასიათის განსაზღვრისას, უნდა გაითვალისწინებინა ინსტიტუციაში არსებულ ფინანსურ, ადამიანურ რესურსებთან და ინფრაქტრუქტურასთან დაკავშირებული შეზღუდვები. აღნიშნული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში განხილული არ არის. კონკრეტულად ამ რეკომენდაციის შესრულებაზე ორიენტირებული აქტივობები ინტერვიუს დროსაც არ გამოვლენილა, თუმცა ამ რეკომენდაციის შესრულებით მოსალოდნელი შედეგების გარკვეული ნაწილი მიღებული იქნება კვლევის მიმართულებების პრიორიტეტიზაციის შედეგად.
3. მოხდეს კვლევითი აქტივობების იდენტიფიცირება, პრიორიტეტის მინიჭება და ოპტიმიზაცია, რათა თავიდან აიცილოთ კვლევის ძალისხმევის დანაწევრება და შესაბამისად გაძლიეროთ კარგი უნივერსიტეტის სასიცოცხლო მნიშვნელობის თვისება	3. შესრულებულია ნაწილობრივ: კვლევების პრიორიტიზაციის სტრატეგია შემუშავებულია, თუმცა სრულად ამოქმედებული არ არის და მის საფუძველზე გადაწყვეტილებები ჯერ არ მიღებულა, რასაც უსდ-ის წარმომადგენლები მიმდინარე პანდემიას და შეცვლილ სამუშაო პირობებს უკავშირებენ.

4. მოხდეს კვლევითი მიმართულებების, პრიორიტეტების და კვლევის ორიენტირის ფორმულირება	4. არ არის შესრულებული: არსებობს კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც იგეგმება პრიორიტეტების განსაზღვრა, თუმცა კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებები ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული არ არის.
5. გაიზარდოს კვლევის შედეგების ხარისხი და პროდუქტიულობა.	5. შესრულებულია ნაწილობრივ: უსდ აღრიცხავს კვლევის შედეგების რაოდენობასა და ხარისხს, იკვეთება პოზიტიური დინამიკა, თუმცა წინა ავტორიზაციიდან გასული 2 წელი საკმარისი არ არის სამეცნიერო მუშაობის შედეგების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. დაწესებულებაში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მონაცემები ყველა მიმართულებაში სახარბიელო არ არის და მუშაობენ ერთდროულად როგორც პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიკაციასა და წახალისებაზე, ასევე კვლევითი აქტივობის საერთო დონის ამაღლებაზე.
6. მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა	6. შესრულებულია: კვლევაში ჩართული პერსონალისთვის ხელმისაწვდომია რეგულარული ტრენინგები. ამასთან ერთად ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალება აქვთ, მოინახულონ პარტნიორი დაწესებულებები საზღვარგარეთ, გაიუმჯობესონ უნარები და შეიძინონ კვლევითი გამოცდილება.
6.2.	
7. შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.	7. შესრულებულია ნაწილობრივ: არაფორმალურ დონეზე უცხოური უნივერსიტეტებისთვის საინტერესო სფეროების იდენტიფიკაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომელთა განვითარებაზეც უსდ ზრუნავს უკანასკნელ წლებში.
8. იყოს მეტი აქტიურობა საერთაშორისო მკვლევარებთან თანამშრომლობაში.	8. შესრულებულია: უსდ-ში ხორციელდება არაერთი საერთაშორისო კვლევითი პროექტი; ასევე, უსდ-ში არის აკადემიური მობილობისა და საერთაშორისო გრანტებში ჩართულობის გამოცდილება და უცხოელ მკვლევრებთან თანამშრომლობის პრაქტიკაც.
9. წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში.	9. შესრულებულია ნაწილობრივ: უსდ-ის დოქტორანტები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და ვორკშოპებში, აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო კრებულებსა და ჟურნალებში. მათ ნაწილს ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი ან კონსულტანტი. თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობაში დოქტორანტთა ჩართულობის წამახალისებელი მექანიზმის არსებობა უსდ-ში არ დასტურდება.
10. გაძლიერდეს კვლევის მხარდაჭერის ერთეული.	10. შესრულებულია: უსდ-ში გამოყოფილია ცალკე ადმინისტრაციული ერთეული — სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელიც მუდმივად აწვდის პერსონალს ინფორმაციას კვლევითი

	თუ სხვადასხვა საგრანტო პროექტების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციას უწევს აკადემიურსა და სამეცნიერო პერსონალს საგრანტო განცხადების მომზადებასთან დაკავშირებით, ატარებს ტრენინგებს და ა.შ.
6.3. 11. საჭიროა შემუშავდეს კვლევითი საქმიანობის შეფასების უფრო კომპლექსური სისტემა, თითოეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ერთეულების მუშაობის გათვალისწინებით. 12. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.	11. შესრულებულია: ბსუ-ში ამჟამად ამოქმედებულია კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ისე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობას. 12. დიდწილად შესრულებულია: ბსუ-ში კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის არაფორმალური შეფასებით ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელიც ხელს უწყობს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის განვითარებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- საჭიროა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მოთხოვნები თანდათან გაიზარდოს და მოთხოვნების ცვლილების შედეგები რეგულრულად გაანალიზდეს.
- შესასრულებელი კვლევის ხასიათის დაგეგმვისას მხედველობაში მისაღებია ფინანსური შეზღუდვები, ინფრასტრუქტურა და მკვლევართა კრიტიკული მასა.
- ბსუ-მა ბოლომდე უნდა მიიყვანოს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცედურა, ჯეროვნად შეაფასოს და გააანალიზოს პრიორიტიზაციის შედეგები.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად.
- ბსუ-მა მეტი უნდა იმუშაოს კვლევით საქმიანობაში ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებაზე, მოახდინოს ამ ქმედებების დოკუმენტირება და ანალიზი.
- კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული და აქტიური.
- საჭიროა მეტი ფორმალიზაცია სადოქტორო საფეხურზე კვლევის მხარდაჭერის მიმართულებით.
- შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.
- წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში.
- მნიშვნელოვანია, ბსუ-მა უზრუნველჰყოს, რომ კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენების პროცედურა იყოს გამჭვირვალე და ფორმალიზებული.
- უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.

რჩევები

- სასურველია, ბსუ-მ გააგრძელოს და უფრო ინტენსიური გახადოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები.
- სასურველია, დოქტორანტების უცხოელი თანახელმძღვანელების ფუნქციები იყოს უფრო კონკრეტულად გაწერილი და გაანალიზებული, მათი ეფექტიანობა შეფასდეს კვლევის ხარისხის შეფასების სხვა პარამეტრებთან ერთად.
- სასურველია ბსუ-ის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება, რათა მსურველისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს სასურველი ინფორმაცია.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მითხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მითხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მითხოვნებთან	არ შეესაბამება მითხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐

7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ლევან ცაგარელი
2. ნიკოლოზ ფარჯანაძე
3. ქეთევან კანკავა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
შესასრულებელი რეკომენდაცია: გაძლიერდეს იმ აკადემიკოსების კვლევითი მუშაობის მოთხოვნები, რომლებიც მთავარი კვლევითი ინსტიტუტების გარეთ არიან. აკადემიური პერსონალის კვლევითი მუშაობის მოთხოვნები განსაზღვრულია „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით“, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით. შეფასება ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ნაშრომებს, საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებულ გამოგონებებს, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, გამარჯვებულ სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას, სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართულობას, სამაგისტრო და სადოქტორო პროექტების ხელმძღვანელობას, სამეცნიერო გამოცემების რეცენზირებას და რედკოლეგიის წევრობას, საექსპერტო მომსახურებას, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას და სხვა აქტივობებს. უნივერსიტეტის წესდებაში ასევე განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის ატესტაციის წესი. ამ ეტაპზე აკადემიური პერსონალის არჩევის მინიმალური კრიტერიუმები არ არის მკაცრი (მაგალითად, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება). საკმაოდ ლოიალურია ის მოთხოვნებიც, რომლებიც წაყენებული აქვს საუნივერსიტეტო გრანტით დაფინანსებულ სამეცნიერო აქტივობებს. ეს მოთხოვნები განსაზღვრულია სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესით. ამავე დოკუმენტში აღწერილია 2021 წლიდან მინიმალური მოთხოვნების ზრდის გეგმა. სამეცნიერო აქტივობებისადმი მოთხოვნები შეიცვალა 2019 წელს და მიმდინარე პანდემიიდან გამომდინარე ცვლილებები სრულად დანერგილი არ არის და მათი შეფასება ჯერ არ მომხდარა, თუმცა მარეგულირებელი დოკუმენტების დონეზე წინ გადადგმული ნაბიჯები სახეზეა. აღსანიშნავია, რომ კვლევითი მუშაობის მოთხოვნები საერთოა კვლევით ინსტიტუტებში და მათ გარეთ მომუშავე მეცნიერებისათვის და რომელიმე ჯგუფისათვის ცალკე გაწერილი არ არის. **შესასრულებელი რეკომენდაცია: მხედველობაში მისაღებია ფინანსურ შეზღუდვებთან, ინფრასტრუქტურასთან და მკვლევართა კრიტიკულ მასასთან კავშირში შესრულებული კვლევის ხასიათი.** უსდ-ს არ წარმოუდგენია იმის დასტური, რომ შესასრულებელი კვლევების დაგეგმვისას ხდება

ფინანსური, ინფრასტრუქტურული და საკადრო დეფიციტის გათვალისწინება. აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად მიმართული ღონისძიებები არც უსდ-ის ანგარიშშია აღწერილი. მოსალოდნელია, რომ ამ აქტივობებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელები აერთიანებენ კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტიზაციის ღონისძიებებთან. სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დოკუმენტში კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტების განსასაზღვრად აქცენტი გაკეთებულია შესაბამის მიმართულებაში სამეცნიერო პროდუქტის ხარისხის შეფასებაზე და არა ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ ან საკადრო საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ აღნიშნული ფაქტორები თავის მხრივ გავლენას ახდენს სამეცნიერო პროდუქტის ხარისხზე, თუმცა, როგორც ჩანს, მათი განცალკევებული ანალიზი უსდ-ში არ მომხდარა.

შესასრულებელი რეკომენდაცია: მოხდეს კვლევითი აქტივობების იდენტიფიცირება, პრიორიტეტის მინიჭება და ოპტიმიზაცია, რათა თავიდან აიცილოთ კვლევის ძალისხმევის დანაწევრება და შესაბამისად გააძლიეროთ კარგი უნივერსიტეტის სასიცოცხლო მნიშვნელობის თვისება.

აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამეცნიერო მიმართულებების პრიორიტიზაციის სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები გაწერა ფორმალურ დოკუმენტებში. თუმცა, კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და რესურსების შესაბამისი გადანაწილება ჯერ არ მომხდარა. პროცესი 2019 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და მის ბოლომდე მიყვანას 2020 წლის პირველ ნახევარში პანდემიის ფონზე შეცვლილმა სამუშაო რეჟიმმა შეუშალა ხელი. საჭიროა, ეს პროცესი ბოლომდე მივიდეს და მას მოჰყვეს შედეგების კრიტიკული ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტების განსაზღვრის წესის დახვეწა.

შესასრულებელი რეკომენდაცია: მოხდეს კვლევითი მიმართულებების, პრიორიტეტების და კვლევის ორიენტირის ფორმულირება.

კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებისა და ორიენტირის განსაზღვრის წესი შემუშავებულია, თუმცა საკუთრივ პრიორიტეტები განსაზღვრული არ არის, პროცესი აქტიურ ფაზაშია და მისი დასრულება მიმდინარე პანდემიის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

შესასრულებელი რეკომენდაცია: გაიზარდოს კვლევის შედეგების ხარისხი და პროდუქტიულობა.

უსდ-ს წარმომადგენლების თქმით, სამეცნიერო შედეგის ხარისხისა და პროდუქტიულობის მხრივ ყველა მიმართულებით აღსანიშნავია პოზიტიური დინამიკა. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი ზოგიერთი პარამეტრი 2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაუარესებულია (მაგალითად, პუბლიკაციების რაოდენობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა). ამის მიზეზად უსდ ასახელებს იმას, რომ 2019 წლის მუშაობის შედეგების ნაწილი ჯერ არ არის გამოქვეყნებული და შესაბამისად ვერ აისახა სტატისტიკაში. ეს ადასტურებს, რომ პოზიტიური ტენდენციისა და მდგრადობის უკეთ შეფასებისათვის ორწლიანი პერიოდი საკმაოდ მცირეა. აქვე აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ტენდენცია ყველა მიმართულებისათვის ერთგვაროვანი არ არის, ზოგ დისციპლინაში სამეცნიერო პროდუქტის რაოდენობა და ხარისხის არ არის ისეთი მაღალი, როგორიც სხვებში. უსდ-ის წარმომადგნლებს ეს კარგად აქვთ გააზრებული და მათ მიაჩნიათ, რომ ეს აუცილებლად ჰპოვებს ასახვას პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.

შესასრულებელი რეკომენდაცია: მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი ატარებს კურსებს პერსონალის კვლევითი უნარების ასამაღლებლად. ექსპერტებისათვის წარმოდგენილი იყო რამდენიმე კურსი, რომელთა შინაარსი პუბლიკაციის გამოქვეყნებას ეხებოდა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აძლევს ახალგაზრდა მკვლევარს საშუალებას, პარტნიორ დაწესებულებებში ვიზიტით განივითარონ სპეციფიური კვლევითი უნარები. უფრო მრავალფეროვანი აქტივობები ამ კუთხით და მეტი ადამიანის ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს კვლევითი საქმიანობის ხარისხზე.

სტანდარტის სხვა მოთხოვნების შესრულების მხრივ უსდ-ში მდგომარეობა ამგვარია:

ბსუ-ში კვლევითი საქმიანობა სხვადასხვა ინტენსივობით ყველა ფაკულტეტზე ხორციელდება. უნივერსიტეტის რეგიონული როლი დაწესებულებაში კარგად აქვთ გაცნობიერებული და კვლევების დიდი ნაწილი სწორედ რეგიონისათვის სპეციფიურ თემატიკაზეა ორიენტირებული. სამეცნიერო აქტივობა და შედეგები უდავოდ მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისთვის.

ინსტიტუცია კვლევის ეკონომიკურ საქმიანობასთან ინტეგრირებას დაწესებულება ასაბუთებს კვლევითი ინსტიტუტების კომერციული საქმიანობით. მაგალითად, ფიტოპათოლოგიის კვლევების შედეგები გამოიყენება მცენარეებში რეგიონში გავრცელებული პათოგენების იდენტიფიკაციისთვის. თუმცა არ იკვეთება ეკონომიკურ აგენტებთან ან ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ფორმალური თანამშრომლობა მათი საჭიროებების კვლევის მიზნით.

სამეცნიერო კვლევების შედეგები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში. ეს ხდება თავად მკვლევრების მიერ თავიანთი შედეგების ან დაცულ დისერტაციებში აღწერილი შედეგების გაზიარებით სტუდენტებისთვის და დამოკიდებულია სწავლებაში და კვლევაში ჩართულ კონკრეტულ პირებზე, თუმცა ამას არ აქვს ფორმალური მექანიზმის სახე (სახელდობრ, სილაბუსების რეგულარული გადახედვა კვლევის შედეგების ინტეგრირების მიზნით არ ხდება).

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევით მუშაობაში, რაც, ერთი მხრივ, განისაზღვრება სტუდენტებისთვის კვლევით ინსტიტუტში პრაქტიკული აქტივობების შეთავაზებით, მეორე მხრივ კი საუნივერსიტეტო გრანტებში სტუდენტებისა და დოქტორანტების ჩართვის ვალდებულებით, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და დაინტერესებას მეცნიერებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელებს დადგენილი აქვთ ლიმიტი 3 დოქტორანტისა და 2 მაგისტრანტის ოდენობით. ისინი კვირაში ერთხელ ხვდებიან დოქტორანტებს, შუალედებში კი უწყვეტი დისტანციური კომუნიკაცია აქვთ მათთან. ინტერვიუს დროს არ გამოვლენილა დოქტორანტების უკმაყოფილება ხელმძღანელობის ხარისხით. სადოქტორო კვლევების ნაწილში ჩართული არიან უცხოელი თანახელმძღვანელები. მათი როლი ინტერვიუებში შეფასდა კონსულტირებად, თუმცა ენობრივი ბარიერი მეტ-ნაკლებად ხელს უშლიდა ონლაინ-ინტერვიუს ფორმატში თანახელმძღვანელებისგან დეტალური ინფორმაციის მიღებას.

დოქტორანტების კვლევის დაფინანსების საკითხი საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას. ამ ეტაპზე დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გრანტები და დოქტორანტების პირადი სახსრები. დადებითი ტენდენციაა შიგასაუნივერსიტეტო გრანტებით დაფინანსებულ კვლევებში დოქტორანტების ჩართულობა, თუმცა ამას სისტემური ხასიათი დოქტორანტების მხარდაჭერის კუთხით ამ ეტაპზე არ აქვს. პოზიტიურია ისიც, რომ კვლევითი ინსტიტუტები და ხელმძღვანელები მაქსიმალურად ეხმარებიან დოქტორანტებს სახარჯი მასალებითა და რეაგენტებით, მაგრამ ეს პროცესიც საჭიროებს ფორმალიზებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გაიცემა შიგა სტიპენდიები დოქტორანტებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომს ადგილობრივ ექსპერტებთან გადაგზავნამდე აფასებს უცხოელი სპეციალისტი. ამისთვის შესაბამის დარგში მოღვაწე უცხოელ ექსპერტს ეგზავნება ნაშრომის მოკლე რეზიუმე ინგლისურ ენაზე და მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში ხდება დისერტაციის დაცვის მომდევნო საფეხურების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბსუ-ს ანგარიში
- სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი
- ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 2018, 2019 წლის ანგარიშები
- სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირების მონაცემები
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (დოქტორანტურის საფეხურის მარეგულირებელი დოკუმენტები https://www.bsu.edu.ge/sub-53/page/2-420/index.html) (24.06.2020)

რეკომენდაციები:

- საჭიროა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მოთხოვნები თანდათან გაიზარდოს და მოთხოვნების ცვლილების შედეგები რეგულრულად გაანალიზდეს.
- შესასრულებელი კვლევის ხასიათის დაგეგმვისას მხედველობაში მისაღებია ფინანსური შეზღუდვები, ინფრასტრუქტურა და მკვლევართა კრიტიკული მასა.
- ბსუ-მა ბოლომდე უნდა მიიყვანოს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცედურა, ჯეროვნად შეაფასოს და გააანალიზოს პრიორიტიზაციის შედეგები.
- უნდა გაგრძელდეს მუშაობა კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად.
- ბსუ-მა მეტი უნდა იმუშაოს კვლევით საქმიანობაში ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებაზე, მოახდინოს ამ ქმედებების დოკუმენტირება და ანალიზი.
- კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული და აქტიური.
- საჭიროა მეტი ფორმალიზაცია სადოქტორო საფეხურზე კვლევის მხარდაჭერის მიმართულებით.

რჩევები:

- სასურველია, ბსუ-მ გააგრძელოს და უფრო ინტენსიური გახადოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები.
- სასურველია, დოქტორანტების უცხოელი თანახელმძღვანელების ფუნქციები იყოს უფრო კონკრეტულად გაწერილი და გაანალიზებული, მათი ეფექტიანობა შეფასდეს კვლევის

ხარისხის შეფასების სხვა პარამეტრებთან ერთად.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შესასრულებელი რეკომენდაცია: შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.

უსდ-ში მუდმივად ხდება აკადემიური პერსონალის ანგარიშების წარდგენა უსდ-ის ადმინისტრაციაში. ასევე, კვლევითი ინსტიტუტები წარადგენენ ანგარიშებს, რომლებშიც ხდება მათი საქმიანობის აღწერა (იხ. ქვემოთ 6.3.). ამ ანგარიშებში ჩანს უცხოელ პარტნიორებთან მიმდინარე და დაგეგმილი კვლევითი ინიციატივები. მართალია, კვლევის იმ სფეროების ინტერნაციონალიზაციის შეფასება, რომლებიც საინტერესო იქნებოდა უცხოური უნივერსიტეტებისთვის, არ განხორციელებულა, მაგრამ ამგვარი სფეროების იდენტიფიკაცია, როგორც ჩანს, მაინც მოხერხდა არაფორმალურ დონეზე. ეს დასტურდება ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით, რომელთა განვითარებაზეც უსდ ზრუნავს უკანასკნელ წლებში. სახელდობრ, უსდ უკვე ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას „ნიადაგმცოდნეობა და მცენარეთა კვება“. პროექტი მოწონებულია განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) მიერ და ფინანსდება ევროკომისიის ერასმუს+-ის ფარგლებში. თუმცა, უსდ-ის ვებ-გვერდზე ამ პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ იძებნება. უსდ ასევე მუშაობს ორ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „არქეოლოგია“ და „ტრანსლატოლოგია“. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის (პოლონეთი), ბილკენტის უნივერსიტეტის ნატიფ ხელოვნებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის დეპარტამენისა (თურქეთი) და ფერარას (იტალია) უნივერსიტეტის ანტიკურობისა და კომუნიკაციის ლაბორატორიის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. ტრანსლატოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი და ბუდაპეშტის ELTE-ს უნივერსიტეტის თარგმანის დეპარტამენტი. არსებულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართულია უცხოელი აკადემიური პერსონალი, რომელიც კითხულობს სასწავლო კურსებს და ასევე ხელმძღვანელობს დოქტორანტებს. უსდ-ის წარმომადგენლებმა ინტერვიუს მსვლელობისას ისაუბრეს ამ ურთიერთობების გაღრმავების სურვილსა და საერთო სამაგისტრო-სადოქტორო

პროგრამების შექმნის აუცილებლობაზე.

შესასრულებელი რეკომენდაცია: იყოს მეტი აქტიურობა საერთაშორისო მკვლევარებთან თანამშრომლობაში.

კონკრეტულ კვლევით საქმიანობაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან კვლევების მიმართულებით, ასევე ბიზნესის დაინტერესების კუთხით. მაგალითად, უსდ-ის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი თანამშრომლობს თელავივის უნივერსიტეტთან ეკოლოგიური და ტექნოლოგიური საკითხების კვლევის მიმართულებით, რის შედეგადაც დაიგეგმა თხევადი დაბინძურებების დაწმენდის ტექნოლოგიების და ეკოლოგიური დაბინძურების ერთობლივი კვლევები. უსდ-ს აქვს თანამშრომლობა ასევე ჟირონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, ლატვიის ქ. რეზენკეს უმაღლეს „აუგუსტ სკოლასთან“ და ა.შ.; ინსტიტუტების სამეცენიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომია უსდ-ის ვებ-გვერდზე: https://bsu.edu.ge/sub-17/page/2-460/index.html. ასევე, სხვა კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშებშიც ასახულია ინფორმაცია საერთაშორისო კვლევის შედეგების, საერთაშორისო პატენტების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებისა და თანამშრომლობის შესახებ, მაგ. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი: https://bsu.edu.ge/sub-18/page/2-461/index.html. ამრიგად, საერთაშორისო მკვლევრებთან თანამშრომლობის მხრივ უსდ-ის აქტიურობა აშკარაა.

შესასრულებელი რეკომენდაცია: წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში.

უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უსდ-ს აქვს კონკრეტული ინიციატივები. ერთობლივი კვლევითი პროექტები, რომლებიც ასახულია უსდ-ის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, მოიცავს ეკოლოგიის, აგრარულ, ბიზნესისა და სხვა სფეროებს. უსდ-ს პერსონალისა და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების განმარტებით, ხელმძღვანელების მეშვეობით ხდება დოქტორანტების ჩართვა რიგ პროექტებში. ამასთან, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ უსდ-ის დოქტორანტები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და ვორკშოპებში, აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო კრებულებსა და ჟურნალებში, მათ ნაწილს ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი, ან კონსულტანტი. თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობაში დოქტორანტთა ჩართვის წამახალისებელი რაიმე ფორმალური მექანიზმის არსებობა უსდ-ში არ დასტურდება.

შესასრულებელი რეკომენდაცია: გაძლიერდეს კვლევის მხარდაჭერის ერთეული.

ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სამეცნიერო კვლევების სამსახური უსდ-ის ძალისხმევის შედეგად გახდა ბევრად ფუნქციური და იგი ჩართულია უსდ-ის კვლევის პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში. სახელდობრ, სამეცნიერო კვლევების სამსახური ახორციელებს უსდ-ის მეცნიერებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებას საგრანტო პროექტებისა და სამეცნიერო კონკურსებისა თუ სხვა საინტერესო შესაძლებლობების შესახებ, რაც დაადასტურა უსდ-ს აკადემიურიმა პერსონალმა. სამეცნიერო კონკურსებისა და კონფერენციების,

ასევე მიმდინარე და დასრულებული პროექტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ძირითადად გამოიყენება უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://bsu.edu.ge/sub-45/news/2/index.html, https://bsu.edu.ge/sub-45/links/5/index.html). იმავე ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია ინფორმაცია სამეცნიერო ფონდების შესახებ (https://bsu.edu.ge/sub-45/page/2-363/index.html), საიდანაც შესაძლებელია კვლევებისთვის დაფინანსების მოძიება და მოპოვება.საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევების სამსახური კონსულტაციას უწევს აკადემიურსა და სამეცნიერო პერსონალს საგრანტო განცხადების მომზადებასთან დაკავშირებით. სამეცნიერო კვლევების სამსახურის ორგანიზებით სამეცნიერო და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგი h-ინდექსისა და მტაცებელი ჟურნალების შესახებ, რაც მათ დაეხმარება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების პროცესში (შესაბამისი სატრენინგო მასალა ასევე ხელმისაწვდომია უსდ-ის ვებ-გვერდზე: https://bsu.edu.ge/main/page/2-534/index.html). სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ უსდ ამჟამად ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა როგორც სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ასევე სამეცნიერო კვლევების სამსახურის განვითარება.

უსდ-ის წარმომადგენლების თქმით, მუდმივად ხდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის განაცხადის წარდგენის, დაფინანსების მოპოვებისა და პროექტის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შედეგების შეფასება. გრანტების ადმინისტრირების პროცესის შესაფასებლად შეიძლება განვიხილოთ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ერთ-ერთი პროექტის („აჭარაში გავრცელებული ზოგიერთ ხეხილოვან მცენარეთა ნაყოფის ქიმიური შედგენილობის შესწავლა და მათი პასპორტიზაცია“) მოსმენის შესახებ. ანგარიშში აღწერილია, როგორ მოხდა პროექტის განხილვა და მოწონება. ასევე, უსდ-მ წარმოადგინა უსდ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებები მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ანგარიშების მოსმენის შესახებ. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ასევე წარმოადგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შესახებ. ამრიგად, პროცესი არის გამჭვირვალე და უსდ უზრუნველჰყოფს მის მონიტორინგს. მიღებული შედეგების შეფასება, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, უსდ-ისა და ფაკულტეტების წარმომადგენლების თქმით, გამოიყენება უსდ-ის სამეცნიერო და აკადემიური აქტივობისა და ამ აქტივობების ხელშესაწყობის მიზნით უსდ-ის საქმიანობის შეფასებისა და პროცესების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის სხვა მოთხოვნების შესრულების მხრივ უსდ-ში მდგომარეობა ამგვარია:

უსდ ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომლის მიზანიც არის ტიპიურად ახალი ცოდნის შექმნა და მისი პრაქტიკული გამოყენება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამი კვლევითი ინსტიტუტის (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) შემთხვევაში. როგორც უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამ კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის, ქართველოლოგიის საკითხების, რეგიონის ისტორიის კვლევის, რეგიონის ბიომრავალფეროვნების, გარემოსა და კლიმატის კვლევის და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. როგორც უსდ-ის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, ინსტიტუტების კვლევებს აქვს

კონკრეტული პრაქტიკული გამოყენება. მაგალითად, ნიადაგის კვლევა, რაც მნიშვნელოვანია რეგიონში ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით. მეორე მაგალითად შეიძლება განვიხილოთ გარემოს კვლევა, რომლის შედეგადაც, დადგინდა, რომ შავი ზღვის სანაპირო და ზოგადად გარემო არის უსაფრთხო, რაც ერთ-ერთი ხელმშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის. რაც შეეხება უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას კვლევების მიმართულებით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და დოკუმენტაციაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და მომავალი კვლევის პერსპექტივების შესახებ. ეს ინფორმაცია დადასტურდა კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებთან და უსდ-ს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროსაც.

უსდ-მ წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული კვლევის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებსა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საკითხები. აკადემიურმა პერსონალმა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ხშირ შემთხვევაში ამ შიდა საუნივერსიტეტო გრანტებით ფინანსდება კვლევები, რომლებიც არა მხოლოდ ადგილობრივი კონტექსტისთვის არის ღირებული და მათი შედეგების გაცნობა ხდება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა თუ უცხოური სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატეიბის მეშვეობით. ხდება უცხოელი მკვლევარების ჩართვა ამ ტიპის პროექტებში. კვლევის პოლიტიკის ეს დოკუმენტი ასევე ადგენს, როგორ უნდა განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით საქმიანობის შეფასება. უსდ-ს ასევე აქვს „უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი“, რომლითაც რეგულირდება უსდ-ის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების პროცესი. დოკუმენტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_10664_1.pdf).

უსდ-ს წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი, სადოქტორო პროგრამების სტუდენტები ადასტურებენ, რომ უსდ-ს გააჩნია კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე დეტალურად იცნობს უსდ-ის მიერ შემუშავებულ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების პოლიტიკასა და პროცედურებს. უსდ-ს შემუშავებული აქვს „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურის დებულება“, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი კონკურსში მონაწილეობის პირობები და პროცედურა. აღნიშნული დოკუმნეტი საჯაროდ არის ხელმისაწვდობი უსდ-ს ვებ-გვერდზე (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf). ინტერვიუების შედეგადაც დადასტურდა, რომ უსდ-ის აკადემიური პერსონალი იცნობს ამ დოკუმენტს და მის წარმომადგენლებს მიუღიათ დაფინანსება. შიგასაუნივერსიტეტო გრანტის მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ მასში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ ერთი დოქტორანტი, რაც უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას კვლევის პროცესში. დოქტორანტებთან და ახალგაზრდა მკვლევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ მიუღიათ მონაწილეობა კონკურსში და მოუპოვებიათ დაფინანსება. უსდ-ის წარმომადგენლებთან და აკადემიურ-სამეცნიერო პერსონალთან ინტერვიუში წარმოჩნდა, რომ კვლევით პროექტებში ერთვებიან არამარტო დოქტორანტები, არამედ მაგისტრანტები და ზოგიერთ შემთვევაში, საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებიც. უნივერისტეტს აქვს ასევე ახალგაზრდა მკვლევრებისა და დოქტორანტების გრანტები (10 000 ლარის მაქსიმუმ), რომელთა მიზანია ახალგაზრდა მკვლევრების დაინტერესება და მათი კვლევითი/სამეცნიერო ინიციატივების მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში
- ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ უსდ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან
- ინტერვიუ უსდ-ს ახალგაზრდა მკვლევარებთან და დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტებთან
- უსდ-ს გამოგონებები და პატენტები: https://bsu.edu.ge/sub-45/links/6/index.html; https://bsu.edu.ge/sub-45/links/2/index.html
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებუნება: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf
- უსდ-ს ვებ-გვერდი - ინფორმაცია სამეცნიერო კონკურსებისა და კონფერენციების შესახებ: https://bsu.edu.ge/sub-45/news/2/index.html
- უსდ-ს ვებ-გვერდი - ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ: https://bsu.edu.ge/sub-45/links/5/index.html
- უსდ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_10664_1.pdf
- უსდ-ს ვებ-გვერდი - ინფორმაცია სამეცნიერო ფონდების შესახებ: https://bsu.edu.ge/sub-45/page/2-363/index.html
- სამეცნიერო პუბლიკაციების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგის მასალა: https://bsu.edu.ge/main/page/2-534/index.html
- კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების ანგარიშები: https://bsu.edu.ge/sub-17/page/2-460/index.html
- უსდ-ის აკადემიური პერსონალის მიერ აღწერილი გამოგონებები, პატენტები და სამეცნიერო საგრანტო პროექტები: https://bsu.edu.ge/sub-45/links/6/index.html; https://bsu.edu.ge/sub-45/links/2/index.html)

რეკომენდაციები:

- შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.
- წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში.

რჩევები:

- სასურველია ბსუ-ის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება, რათა მსურველისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს სასურველი ინფორმაცია.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შესასრულებელი რეკომენდაცია: საჭიროა შემუშავდეს კვლევითი საქმიანობის შეფასების უფრო

კომპლექსური სისტემა, თითოეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ერთეულების მუშაობის გათვალისწინებით.

ბსუ-ში მოქმედებს „სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“, რომლის მიხედვითაც 2017 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ელექტრონული პლატფორმა www.apa.bsu.edu.ge, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება ხორციელდება ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც ისინი წარუდგენენ სამეცნიერო კვლევების სამსახურს და რომლებიც უმეტესად საჯაროდ ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებ-გვერდზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების შეფასება ხორციელდება გუნდურად; შეფასების პროცესში სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და რექტორის მოადგილე.

კვლევითი საქმიანობის შეფასებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება (მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში შესულ ჟურნალებში), სამეცნიერო პუბლიკაციების რეცენზირება, გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა. სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა ბსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ უკანასკნელი სამი წლის (2017, 2018, 2019) განმავლობაში განხორციელებული კვლევითი საქმიანობა.

ანგარიშებში ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების შესახებ და ბსუ სამეცნიერო აქტივობის ანალიზის შესახებ წარმოდგენილია კვლევითი საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დიდწილად მზარდია.

შესასრულებელი რეკომენდაცია: უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცნობიერებს ბსუ-ში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ძლიერსა და სუსტ მხარეებს, სახელდობრ, ძლიერ მხარედ დასახელდა ის, რომ კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტები (მაგალითად, მცენარეთა ავადობისა და ზღვის შესახებ ჩატარებული კვლევები) მნიშვნელოვანი გახდა საზოგადოებისთვის (ამჟამად უნივერსიტეტი იღებს გარე ორგანიზაციების კვლევით დაკვეთებსაც); სუსტ მხარედ კი დასახელდა ის, რომ ზოგ მიმართულებაზე ჯერ კიდევ არაა მიღწეული სათანადო შედეგი (დასავლურ ჟურნალებში გამოცემული პუბლიკაციებისა და საერთაშორის კვლევითი პროექტების რაოდენობა ნაკლებია) და ზოგი სამეცნიერო ღონისძიება ვერ განხორციელდა. ბსუ-ს ადმინისტრაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ამგვარი, ყოფილა, მაგალითად, რეკომენდაციები დისერტაციის კვლევის შედეგების დისემინაციის შესახებ, ინდექსირებულ ჟურნალში სტატიების გამოქვეყნების შესახებ, კვლევითი პროცესის შეფასებაში გარე ექსპერტების ჩართვის შესახებ, სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ. მართალია, ბსუ-ის მიერ კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაწეული ძალისხმევა აშკარაა, მაგრამ კვლევის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენების პროცესს ბსუ-ში ჯერ არ აქვს ფორმალიზებული, სისტემური მექანიზმის ხასიათი.

ანალოგიური მოცემულობაა კვლევის ინტერნაციონალიზაციის გასაუმჯობესებლად კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების მხრივაც. ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით, საჭირო იყო სწორედ კვლევის ინტერნაციონალიზაციის შეფასება ისეთი დარგების გამოსავლენად, რომლებიც საინტერესო იქნებოდა უცხოური უნივერსიტეტებისთვის. ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით ბსუ ხელს უწყობს თავისი პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, ავითარებს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს უცხოელ პარტნიორებთან ერთად („ნიადაგთმცოდნეობა და მცენარეთა კვება“), ატარებს საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს და ორგანიზებას უწევს სადისერტაციო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირებას. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ბსუ-ში ასევე მოქმედებს „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი“ და „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“. კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნავს ბსუ-ის სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელიც ეხმარება აკადემიურსა და სამეცნიერო პერსონალს, რათა იგი უფრო გააქტიურდეს საერთაშორისო ასპარეზზე კონფერენციებსა და ერთობლივ საგრანტო პროექტებში მონაწილეობით. ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო კვლევების სამსახურს აქვს განსაზღვული ხედვა ბსუ-ში მიმდინარე კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხარისხზე, მის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე. სახელდობრ, ძლიერ მხარედ მიიჩნევა საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების რაოდენობის ზრდა, სუსტ მხარედ კი — საერთაშორისო გრანტების რაოდენობის სიმცირე. თუმცა უცნობია, რამდენად იქცევა ხოლმე ამგვარი შეფასებები ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების, ან სტრატეგიის შემუშავების საფუძვლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- სამეცნიერო საქმიანობის ანალიზი და გეგმის პროექტი
- ინფორმაცია აკადემიური პერსონალის აქტივობების შესახებ
- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 2018, 2019 წლის ანგარიშები
- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ვებ-გვერდები: https://www.bsu.edu.ge/sub-45/page/6908/index.html (10.06.2020)
- „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი''
- ბსუ-ს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა (https://bsu.edu.ge/sub-19/page/2-532/index.html)
- „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“
- სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირების მონაცემები
- ბსუ სამეცნიერო აქტივობის ანალიზის ანგარიში

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ ბსუ-მა უზრუნველჰყოს, რომ კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენების პროცედურა იყოს გამჭვირვალე და ფორმალიზებული.
- უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.

რჩევები: •
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	მათემატიკა	ქართული	მათემატიკა	-	აკრედიტებული	-
2	კომპიუტერული მეცნიერებები	ქართული	კომპიუტინგი/ინფორმატიკა	-	აკრედიტებული	-
3	ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები	-	აკრედიტებული	-
4	გეოგრაფია	ქართული	გეოგრაფია	-	აკრედიტებული	-
5	ეკოლოგია	ქართული	ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა	-	აკრედიტებული	-
6	ზღვის ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები	-	აკრედიტებული	-
7	ქიმია	ქართული	ქიმია	-	აკრედიტებული	-
8	დაწყებითი განათლება	ქართული	განათლება	-	აკრედიტებული	-
9	ფიზიკა	ქართული	ფიზიკა	-	აკრედიტებული	-
10	ქართული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
11	ინგლისური ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
12	გერმანული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
13	ფრანგული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
14	რუსული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
15	თურქეთისმცოდნეობა	ქართული	თურქოლოგია	-	აკრედიტებული	-
16	ფილოსოფია	ქართული	ფილოსოფია	-	აკრედიტებული	-
17	ფარმაცია	ქართული	ფარმაცია	-	აკრედიტებული	-
18	მათემატიკა	ქართული	მათემატიკა	-	აკრედიტებული	-
19	ბიზნეს ინფორმატიკა	ქართული	ინტერდისციპლინური ინფორმატიკა	-	აკრედიტებული	-
20	ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები	-	აკრედიტებული	-
21	ფიზიკური გეოგრაფია,	ქართული	ფიზიკური გეოგრაფია	-	აკრედიტებული	-

	ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება					
22	ქიმია	ქართული	ქიმია	-	აკრედიტებული	-
23	ევროპეისტიკა (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია)	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
24	ისტორია	ქართული	ისტორია	-	აკრედიტებული	-
25	ლინგვისტიკა	ქართული	ლინგვისტიკა	-	აკრედიტებული	-
26	ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	-
27	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია	ქართული	არქეოლოგია	-	აკრედიტებული	-
28	გეომეტრია-ტოპოლოგია	ქართული	მათემატიკა	-	აკრედიტებული	-
29	არქეოლოგია	ქართული	არქეოლოგია	-	აკრედიტებული	-
30	სამართალმცოდნეობა	ქართული	სამართალმცოდნეობა	-	აკრედიტებული	-
31	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობები	-	აკრედიტებული	-
32	ევროპისმცოდნეობა	ქართული	ევროპისმცოდნეობა	-	აკრედიტებული	-
33	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგია	-	აკრედიტებული	-
34	ფინანსები	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	არააკრედიტებული	-
35	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	არააკრედიტებული	-
36	მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	არააკრედიტებული	-
37	მარკეტინგი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	არააკრედიტებული	-
38	სამართალი (სპეციალობა: საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი)	ქართული	სამართალი	-	აკრედიტებული	-
39	კლინიკური ფსიქოლოგია	ქართული	კლინიკური ფსიქოლოგია	-	აკრედიტებული	-
40	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკა	-	აკრედიტებული	-
41	აგროეკოლოგია	ქართული	აგრონომია	-	არააკრედიტებული	-
42	სატყეო საქმე	ქართული	სატყეო საქმე	-	არააკრედიტებული	-
43	სასურსათო ტექნოლოგია	ქართული	აგრარული მეცნიერებანი	-	არააკრედიტებული	-
44	აგროინჟინერია	ქართული	აგროინჟინერია	-	აკრედიტებული	-
45	აგრარული ტექნოლოგიები	ქართული	აგრარული მეცნიერებანი	-	არააკრედიტებული	-
46	მშენებლობა	ქართული	მშენებლობა/სამოქალაქო ინჟინერია/სამშენებლო ინჟინერია	-	აკრედიტებული	-

47	სამთო და გეოინჟინერია	ქართული	სამთო და გეოინჟინერია	-	აკრედიტებული	-
48	ტელეკომუნიკაცია	ქართული	ტელეკომუნიკაცია	-	აკრედიტებული	-
49	ტრანსპორტი	ქართული	ტრანსპორტი	-	აკრედიტებული	-
50	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	ქართული	ნავთობისა და გაზის გადამუშავების ტექნოლოგია	-	აკრედიტებული	
51	ტელეკომუნიკაცია	ქართული	ტელეკომუნიკაცია	-	აკრედიტებული	
52	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ქართული	ინჟინერია	-	აკრედიტებული	
53	ტურიზმი	ქართული	ტურიზმი	-	აკრედიტებული	
54	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი (ერთსაფეხურიანი)	-	აკრედიტებული	
55	მედიცინა	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი)	-	აკრედიტებული	
56	თურქული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	
57	ისტორია	ქართული	ისტორია	-	აკრედიტებული	
58	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ქართული	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	-	აკრედიტებული	
59	ლინგვისტიკა	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	
60	არქიტექტურა	ქართული	არქიტექტურა	-	აკრედიტებული	
61	თარგმანმცოდნეობა	ქართული	თარგმანმცოდნეობა	-	აკრედიტებული	
61	ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები	-	აკრედიტებული	
62	ლიტერატურათმცოდნეობა	ქართული	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	-	აკრედიტებული	
63	რადიოფიზიკა	ქართული	ფიზიკა	-	აკრედიტებული	
64	ფიზიკა	ქართული	ფიზიკა	-	აკრედიტებული	
65	ისტორია	ქართული	ისტორია	-	აკრედიტებული	
66	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	ქართული	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	-	არააკრედიტებული	
67	უმაღლესი განათლების მენეჯმენტი	ქართული	განათლების მენეჯმენტი	-	არააკრედიტებული	
68	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	-	არააკრედიტებული	
69	ეკოლოგია	ქართული	ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა	-	აკრედიტებული	
70	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტი	-	აკრედიტებული	

71	ფილოსოფია.	ქართული	ფილოსოფია	-	აკრედიტებული	
72	სოციოლოგია	ქართული	სოციალური მეცნიერებები	-	აკრედიტებული	
73	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, ისტორია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, სამოქალაქო განათლება, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)	ქართული		-	აკრედიტებული	
74	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	განათლება	-	აკრედიტებული	
75	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	
76	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	
77	ფინანსები და საბანკო საქმე	ქართული	ფინანსები	-	აკრედიტებული	
78	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკა	-	აკრედიტებული	
79	ბიზნესის ადმინისტრირება,	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	
80	აგრარული ტექნოლოგიები	ქართული	აგრარული მეცნიერებანი	-	აკრედიტებული	
81	საჯარო მმართველობა	ქართული	0413.1.3 საჯარო მმართველობა	-	აკრედიტებული	
82	დიპლომირებული მედიკოსი	ინგლისური	0912.1.1. მედიცინა	-	აკრედიტებული	
83	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		-	აკრედიტებული	
84	განათლების ადმინისტრირება	ქართული	0413.2.18 განათლების ადმინისტრირება	-	აკრედიტებული	
85	მათემატიკა	ქართული	მათემატიკა	-	აკრედიტებული	